სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

11/11/2025

MES 5 25 0001589992

სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ,,ინოვაციური იდეების კონკურსის - მომავლის პროექტები"-ს ჩატარების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანის, ბორის გითოლენდიას 2025 წლის 23 ოქტომბრის (1393303) სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩატარდეს ,,ინოვაციური იდეების კონკურსი - მომავლის პროექტები".

2. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ყველა საფეხურის სტუდენტებს, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალსა და კურსდამთავრებულებს (35 წლის ასაკამდე), რომლებსაც აქვთ ინოვაციური იდეები.

3. კონკურსის ძირითად ეტაპზე ჩართვა შესაძლებელია, როგორც ინდივიდუალურად, ასევე გუნდური პრინციპით.

4. კონკურსი ჩატარდება სხვადასხვა კატეგორიაში:

ციფრული ტექნოლოგიები;
სოციალური გავლენა;
შემოქმედებითობა და სხვა;
ფენტეზი.

5. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჟიურის მიერ შეირჩევა მაქსიმუმ 10 (ათი) ინოვაციური იდეა, რომელიც ღონისძიების დასკვნით ეტაპზე წარდგენილ იქნება პრეზენტაციების სახით. მონაწილეები, რომლებიც შეძლებენ დასკვნით ეტაპზე წარადგინონ დამუშავებული პროექტები და გაიმარჯვებენ კონკურსში, მათთვის შესაძლოა გათვალისწინებული იყოს სხვადასხვა პრიზები.

6. კონკურსში მონაწილეობის მსურველები 2025 წლის 28 ნოემბრამდე უნდა დარეგისტრირდნენ შემდეგ ვებგვერდზე: https://forms.gle/kxYGayh6y2rQetf59. რეგისტრაციის გავლის შემდეგ, 2025 წლის 08 დეკემბრამდე კონკურსანტი ვალდებულია შევსებული შესაბამისი სააპლიკაციო ფორმა გააგზავნოს ელ.ფოსტის მისამართზე: innovations@gtu.ge (დანართი N1).

7. წარდგენილი აპლიკაციების პირველადი გადარჩევის შემდეგ, კონკურსანტებთან შეხვედრები და ტრენინგება ჩატარდება 2025 წლის 23 დეკემბერს.

8. წარდგენილი პროექტების ფინალური პრეზენტაცია ჩატარდება 2025 წლის 24 დეკემბერს.

9. კონკურსი ჩატარდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ტექნოლოგიებისა და საგრანტო პროექტების ოფისისა და ახალგაზრდა მეცნიერთა და სტუდენტთა ინოვაციურ საქმიანობათა ხელშემწყობი ცენტრის ,,ერთად" ჩართულობით, სტუდენტური სერვისების, სპორტისა და კულტურის დეპარტამენტთან თანამშრომლობით.

10. კონკურსის აკადემიური მხარდაჭერა უზრუნველყოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის ,,სამეწარმეო მენეჯმენტის" საგანმანათლებლო პროგრამის გუნდმა.

11. კონკურსის შედეგად გამოვლენილი ,,მომავლის პროექტები"-ს შემდგომი კვალიფიციური და მეთოდური მხარდაჭერა პატენტის საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსმა, თამაზ ურთმელიძემ.

12. დაევალოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანს ბორის გითოლენდიას, კონკურსის მაღალ აკადემიურ დონეზე ორგანიზების უზრუნველყოფის მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, პერიოდულად წარმოადგინოს დამატებითი წინადადებები და ინიციატივები.

13. კონკურსის საინფორმაციო მხარდაჭერა უზრუნველყოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მარკეტინგისა და კომუნიკაციების ცენტრმა.

14. ბრძანების აღსრულებაზე კონტროლი დაევალოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვიცე-რექტორს, თამარ ლომინაძეს.

15. კონკურსის შესახებ ყველა საჭირო ინფორმაცია გამოქვეყნდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე: www.gtu.ge.

16. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის უზრუნველყოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურმა.

17. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

რექტორი
გურგენიძე დავით